



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

030490848937613

KA030490848937613

№ 04-224/ო

30 / აპრილი / 2013 წ.

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის N74 დადგენილებით დამტკიცებული მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების კვებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი დონისძიების თაობაზე

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის N74 დადგენილებით დამტკიცებული “მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების კვებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის” (დანართი 1.1) მე-4 მუხლის მე-6 პუნქტისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის N74 დადგენილებით დამტკიცებული “მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების კვებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის” (დანართი 1.1) მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებული საქონლის მიმწოდებელი ორგანიზაციის (შემდგომში მიმწოდებელი) მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა (დანართი 1).

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ფორმა და ვაუჩერის შესაბამისი თვის ტალონები მიმწოდებლის მიერ წარდგენილი უნდა იყოს სააგენტოში წერილობით მიმართვასთან ერთად, არაუგვიანეს საქონლის მიწოდების ყოველი თვის 15 რიცხვის ჩათვლით. აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგენს სააგენტოს ცენტრალურ აპარატში შესაბამისი მიმწოდებლისთვის მიმდინარე თვეში ვაუჩერით დაფინანსებული საქონლის ჯამურად გადასარიცხი ღირებულების გამოთვლის საფუძველს.

3. სააგენტო ვალდებულია, უზრუნველყოს:

ა) “დანართი 1”-ით წარმოდგენილი ინფორმაციის და ვაუჩერის შესაბამისი ტალონების შედარება, ინფორმაციის მიღების და სრულყოფილების დადასტურება;

ბ) წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ტალონების დაცულობა არანაკლებ სახელმწიფო პროგრამის მოქმედების

პერიოდის შემდგომი ხუთი წლის განმავლობაში.

4. სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის სოციალური პროგრამების სამმართველომ (ვ. გაზდელიანი) უზრუნველყოს:

ა) საქონლის მომწოდებელ პირთა ინფორმირება და საჭირო განმარტებების მიწოდება ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ფორმის და ინფორმაციის მოწოდების პირობების თაობაზე;

ბ) სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულებისათვის საჭირო ინფორმაციისა და განმარტებების მიწოდება ამ ბრძანებასა და “მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების კვებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის” ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე.


5. სააგენტოს ადმინისტრაციამ (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და ამავე ბრძანებით დამტკიცებული ფორმის განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე: ssa.gov.ge.

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სააგენტოს დირექტორის მოადგილეს (მ. მაჭავარიანი).

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო,
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ნოე ქინქლაძე



შევსების თარიღი:

პროგრამის დასახელება:

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2013 წლის სახელმწიფო პროგრამა
 "მიტოვების რისკში ქვეშ მყოფი ბავშვების კვებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა"

ორგანიზაციის დასახელება:

მისამართი:

საანგარიშო პერიოდი ----- თვე, წელი

N	აფთიაქი	ვაუჩერი N	სახელი	გვარი	ღაბ.თარიღი	მიმღების პირადი NN	მიმღების სახელი	მიმღების გვარი	თარიღი	ჯამი

ხელმძღვანელი პირის ხელისმოწერა

ბ.ა.